

წესდება

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველოს გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია – შემდგომში წოდებული “ასოციაციად” – არის ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას სხვადასხვა ფორმით და რომლის მიზანია გერმანული ენის განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ასოციაცია სარგებლობს სახელწოდებით “საქართველოს გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია”.

მუხლი 2.

ასოციაცია საქმიანობას ეწევა “გერმანული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციისა” და საქართველოს ფარგლებში. ასოციაციის ადგილსამყოფელია საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

ასოციაცია საქმიანობას ეწევა ასოციაციებისა და ასოციაციების შესახებ საქართველოს კანონის (საკანონმდებლო მაცნე 1989, 20, პოზიცია 104 შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) მოთხოვნათა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

მუხლი 3.

ასოციაცია უფლებამოსილია გამოიყენოს შესაბამისი კომპუტენტური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ აღიარებული ნიმუშების საფუძველზე დამზადებული ემბლემები, შტამპები და ბეჭდები.

საქმიანობის მიზნები და ფორმები

მუხლი 4.

ასოციაციის მიზანს წარმოადგენს:

1. გერმანული ენის სასწავლო მეთოდების სამეცნიერო კვლევასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ფორმის ინიცირება და ხელშეწყობა;
2. უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ნაკადის გამარტივება;
3. გერმანული ენის პედაგოგ-მასწავლებლებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება;

4. მთელს მსოფლიოში არსებულ გერმანული ენის სწავლების ცენტრებთან ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა;
5. ქვეყანაში განათლების მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა;
6. გერმანული ენის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების გატარება.

მუხლი 5.

ასოციაცია შემდეგნაირად ახორციელებს თავის მიზნებს:

1. თანამშრომლობს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებსა და ინსტიტუტებთან გერმანული ენის სასწავლო პროგრამებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების კუთხით;
2. აწყობს კონფერენციებსა და ყრილობებს რეგიონალურ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე;
3. ახორციელებს გერმანული ენის სწავლებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და სასკოლო საქმიანობას;
4. თანამშრომლობს იმ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ გერმანული ენის სწავლებას საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში;
5. გამოსცემს ჟურნალებს.

წევრთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 6.

წევრები იყოფიან:

1. რიგით და
2. საპატიო წევრებად.

მუხლი 7.

ასოციაციის რიგითი წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც არის გერმანული ენის აქტიური ან პენსიაზე გასული პედაგოგ-მასწავლებელი, ან სტუდენტი, რომელსაც მომავალში სურს შეასწავლოს გერმანული ენა. პირი წევრად ჩაითვლება მხოლოდ წლიური საწევრო გადასახადის გადახდის, წევრობის განაცხადის შევსების, ასოციაციის მიზნების განხორციელების მზადყოფნისა და წინამდებარე წესდების დებულებების შესრულების ვალდებულების წერილობითი ფორმით წარდგენის შემდეგ.

მუხლი 8.

საპატიო წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ასოციაციის განვითარების საქმეში ან სხვა განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ასოციაციის წინაშე.

საპატიო წევრობის მინიჭება ხდება საერთო კრების მიერ გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 9.

რიგითი წევრი პირდაპირი წესით მიიღება ასოციაციაში გამგეობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 10.

გამგეობის წევრობის უფლება აქვთ ასევე გერმანული ენის საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ან საზღვარგარეთ მცხოვრებ პედაგოგ-მასწავლებლებსაც. თუმცა მათ არა აქვთ ხმის მიცემის უფლება ასოციაციის არჩევნებზე.

მუხლი 11.

ასოციაციის რიგით წევრს შეიძლება შეუწყდეს წევრობა იმ შემთხვევაში, თუ:

1. ის წერილობითი ფორმით უარს იტყვის წევრობაზე და წარუდგენს მას სექციის გამგეობას;
2. ის გაირიცხება სექციის გამგეობის გადაწყვეტილებით:
 - წესდების დარღვევისა ან ასოციაციის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის გამო;
 - ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობის არასაპატიო მიზეზით მიუღებლობის შემთხვევაში;
 - კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეობის უფლების დაგარგვის/ჩამორთმევის გამო;
 - წევრის გარდაცვალების გამო.

მუხლი 12.

ასოციაციის წევრის გაირიცხვა ხდება გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

წევრი, რომლის წინააღმდეგაც მიიღება გამრიცხავი გადაწყვეტილება, უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში შეიტანოს აპელაცია გამგეობაში ასოციაციაში მიღებაზე უარის თქმისა ან გაირიცხვის შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

მუხლი 13.

ასოციაციის წევრი ვალდებულია იმოქმედოს წინამდებარე წესდებისა და ასოციაციის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ასოციაციის რიგითი წევრები ვალდებულნი არიან აქტიურად ითანამშრომლონ ასოციაციაში და გადაიხადონ საწევრო გადასახადები.

ასოციაციის ორგანოები

მუხლი 14.

ასოციაციის ორგანოებია:

1. საერთო კრება
2. გამგეობა

ასოციაციის ყველა ორგანოს უფლებამოსილების ვადა შეადგენს სამ წელს ასოციაციის მორიგ საანგარიშსწორებო ან საარჩევნო პერიოდამდე. უფლებამოსილების ვადა იწყება პირველი სხდომის დღიდან და წყდება ასოციაციის ახლადარჩეული ორგანოების პირველი სხდომის ჩატარების წინა დღეს. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით.

მუხლი 15.

ასოციაციის ხელმძღვანელობის წევრის ვადამდე გაწვევისა ან გადადგომის შემთხვევაში შემადგენლობა შეივსება ახლად არჩეული კანდიდატებით მიღებული ხმების თანმიმდევრობის შესაბამისად.

საერთო კრება

მუხლი 16.

საერთო კრება წარმოადგენს ასოციაციის უმაღლეს ორგანოს. საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ სამ წელიწადში ერთხელ, როგორც საანგარიშგებო და საარჩევნო კრება.

მუხლი 17.

რიგგარეშე საერთო კრება მოწვევადია ნებისმიერ დროს მხოლოდ საგანგებოდ დასაბუთებულ შემთხვევებში. რიგგარეშე საერთო კრება მოწვევადია გამგეობის ინიციატივით, სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ან ასოციაციის წევრთა სულ მცირე ერთი მეხუთედის წერილობითი შუამდგომლობით.

მუხლი 18.

გამგეობა ვალდებულია 6 კვირით ადრე შეატყობინოს ასოციაციის წევრებს საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.

მუხლი 19.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია საერთო ხმების ორი მესამედის არსებობის შემთხვევაში და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

1. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე წესდებაში;
2. ასოციაციის ხელმძღვანელობის წევრთა ვადამდე გაწვევა;
3. ასოციაციის საპატიო წევრობის ჩამორთმევა.

გამგეობა

მუხლი 20.

გამგეობას მიეკუთვნებიან:

1. თავმჯდომარე;
2. თავმჯდომარის მოადგილე;
3. მდივანი;
4. ხაზინადარი;
5. ასოციაციის წევრი.

მუხლი 21.

გამგეობა წარმოადგენს ასოციაციას საგარეო ურთიერთობებში, ხელმძღვანელობს მის საქმიანობასა და ანგარიშვალდებულია მის საქმიანობაზე საერთო კრების წინაშე.

მუხლი 22.

გამგეობის საქმიანობის სფერო განსაკუთრებით განეკუთვნება:

1. საერთო კრების მიერ საქმიანობის განსაზღვრული მიზნების განხორციელება;
2. აქტიური წევრების მიღება ან გარიცხვა;
3. ასოციაციის ქონების მართვა;

4. საპატიო წევრობის მინიჭება ან ჩამორთმევის შუამდგომლობის დაყენება.

მუხლი 23.

გამგეობის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, თუმცა არანაკლებ ნახევარ წელიწადში ორჯერ.

სარევიზიო კომისია

მუხლი 24.

სარევიზიო კომისია წარმოადგენს ასოციაციის უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს.

მუხლი 25.

სარევიზიო კომისია შედგება ორი წევრისაგან.

მუხლი 26.

სარევიზიო კომისიის ამოცანებსა და კომპეტენციას წარმოადგენს:

- სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმოს ასოციაციის მთლიანი საქმიანობა;
- წარუდგინოს გამგეობას შემოწმების შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები;
- ანგარიშვალდებულება საერთო კრების წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ;
- შუამდგომლობის შეტანა გამგეობის წევრის ვალდებულებებისაგან გათავისუფლების თაობაზე.

მუხლი 27.

სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს შემოწმებული საქმეების ირგვლივ ასოციაციის ხელმძღვანელობის ყველა დონის წევრებისა და წარმომადგენლებისაგან წერილობითი ან ზეპირი სახის განმარტება.

ქონება და ფინანსური სახსრები

მუხლი 28.

1. ასოციაციის ქონება შედგება უძრავი და მოძრავი ქონებისა და ფინანსური სახსრებისაგან.
2. ასოციაციის ქონებას მართავს ასოციაციის გამგეობა.

3. ასოციაციის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე ან კიდევ გამგეობის სხვა წევრები უფლებამოსილნი არიან წარადგინონ ასოციაცია და შეასრულონ ქონებრივი ვალდებულებები.

მუხლი 29.

ასოციაციის ქონებრივ წყაროებია:

1. საწევრო გადასახადები;
2. ასიგნებები და სუბსიდიები;
3. ჩუქება და მემკვიდრეობა;
4. საწესდებო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
5. ასოციაციის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

გამგეობა იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის სამეწარმეო საქმიანობის ფორმისა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ.